ქართლის გაქრისტიანება

წერითი დავალება

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

სასწავლო თემა - "საქართველო გვიანანტიკურ და ადრეულ შუა საუკუნეების ეპოქაში (1014 წლამდე)

მიზანი - მოსწავლეებმა უნდა გაანალიზონ წყაროები ქართლის გაქრისტიანების შესახებ და შემოგვთავაზონ საკუთარი ვერსია ამ ისტორიული მოვლენისა.

აქტივობაში წარმოდგენილია სამი წყარო (ლეონტი მროველი - ქართლის ცხოვრება - XI ს., მოვსეს ხორენაცის - ქრონიკა - V ს. თეოდორე კვირელი ქრონიკა - V ს.), რომლებიც ეხება ქართლის გაქრისტიანებას. წყაროები შერჩეულია მათი განსხვავებული წარმოშობისა და დროის მიხედვით.

წარმოდგენილი აქტივობის მიხედვით, მოსწავლეებმა უნდა შექმნან თითოეული წყაროს გეგმა, ხოლო შემდეგ გაანალიზონ და შეადარონ ერთმანეთს წყაროები. გეგმები დაეხმარება მათ წყაროთა შინაარსის შედარებაში. აქტივობის დასკვნით ნაწილში, მოსწავლეებს ევალებათ დაწერონ მცირე ზომის თხზულება, რომელშიც ასახული იქნება ქართლის გაქრისტიანებისა მათეული ვერსია. სამუშაო უმჯობესია შესრულდეს ქართლის გაქრისტიანების შესწავლის შემდეგ. წარმოდგენილი აქტივობა უმჯობესია შესრულდეს შემაჯამებელი სამუშაოს სახით.

წინამდებარე აქტივობა განკუთვნილია VII და X კლასის მოსწავლეებისთვის.

წერითი დავალების პირობები:

- დაკვირვებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული სამივე წყარო;
- თითოეულ წყაროს მიხედვით ჩამოწერეთ მათი გეგმები.
- ამ სამი გეგმისა და წყაროების შინაარსის მიხედვით დაწერეთ თხზულება: **„რა მოხდა სინამდვილეში ანუ როგორ გაქრისტიანდა ქართლი?"**

ა) ნაშრომის უკეთ დასაწერად თემაში ერთმანეთს შეუდარეთ გეგმები, რომლებიც თითოეული წყაროს მიხედვით დაწერეთ. ეს დაგეხმარებათ მსგავსება-განსხვავებების უკეთ აღმოჩენაში.

ბ) შეუდარეთ ქვემოთ მოცემული წყაროების შინაარსი ერთმანეთს. იმსჯელეთ, თუ რომელი ცნობა ან ფაქტი მიგაჩნიათ მართებულად და რომელი - არა. (გამოიყენეთ წყაროები და თქვენს მიერ შექმნილი გეგმები). თქვენი მოსაზრება გაამყარეთ არგუმენტებით. მსჯელობისას გაითვალისწინეთ წყაროთა ავტორების ვინაობა და მათი დაწერის დრო.

გ) წყაროებზე დაყრდნობით, დასკვნაში დაწერეთ თქვენეული მოკლე ვერსია, იმისა, თუ როგორ გაქრისტიანდა ქართლი.

ნაშრომი უნდა შედეგებოდეს:

1) - შესავლისგან, რომელიც, ძირითადად თემის თეზისს მოიცავს:

2) - ძირითადი ნაწილისგან, რომელიც თქვენს მსჯელობასა და არგუმენტაციას გულისხმობს;

3) - დასკვნა, რომელშიც შეჯამებული უნდა იყოს თქვენი ნამუშევარი და წარმოდგენილი უნდა იყოს ქართლის გაქრისტიანების თქვენეული ვერსია (აუცილებლად წყაროებზე დაყრდნობით)

- თხზულება მინიმუმ 600 სიტყვას უნდა შეიცავდეს
- ყურადღება მიაქციეთ შეფასების ცხრილს: თქვენი შეფასება მოხდება ამ ცხრილში მოცემული კრიტერიუმების მიხედვით.

შეფასების კრიტერიუმები

შეფასების კრიტერიუმები	**ქულები**									
რამდენად კარგადაა შესავალში ჩამოყალიბებული თხზულების თეზისი? მთვარი იდეა?										
რამდენად სწორად არის ჩამოყალიბებული თითოეული წყაროს გეგმა?										
რამდენად არგუმენტირებულად და ლოგიკურად ადარებს მოსწავლე მოცემულ წყაროებს?										
რამდენად დაცულია სიტყვების რაოდენობის ლიმიტი?										
რამდენად გამართულია ტექსტი ორთოგრაფიული და სტილისტური თვალსაზრისით?										
რამდენად სრულყოფილია დასკვნა?										

ლეონტი მროველი (ქართლის ცხოვრება, XI ს)

დედოფალი ნანა დასნეულდა ფრიად და მისი განკურნება ვერავინ შეძლო, ყოველთა ხელოვანთა მკურნალთა და ხარჯეს წამლები მასზე, მაგრამ ვერ განკურნეს, უძლურნი და სასოწარკვეთილნი იქმნენ. ვიღაცამ აუწყა დედოფალს, რომ: “ჰრომით მოსული ვინმე ტყვე დედაკაცი ლოცვით, რომელსაც ჰქვია ნინო, მრავალნი სნეულნი განიკურნებიან”. მაშინ დედოფალმა უბრძანა მსახურთა თვისთა, რათა მოიყვაანონ ნინო.

მივიდნენ მსახურნი დედოფლისანი და იპოვეს წმინდა ნინო მაყვლის ბუჩქის ქვეშ და ამცნეს მას ბრძანება დედოფლისა. ხოლო წმინდა ნინომ რქვა მათ: “არ მაქვს ნაბრძანები წავიდე იქ, სადაც ჩემთვის წასვლა არ არის სასიხარულო, არამედ დედოფალი მოვიდეს საყოფელსა ამას ჩემსა და ჭეშმარიტად განიკურნოს ძალითა ქრისტესითა”. მსახურებმა შეატყობინეს დედოფალს თქმული ნინოსი. ხოლო დედოფალმა გულმხურვალედ უთხრა მათ: “შემიმზადეთ საწოლი და მიმიყვანეთ

მასთან". მაშინ წაიყვანეს ის ტახტრევანითა მსახურთა და ძე მისი რევი და სიმრავლე ერისა იყო მასთან.

როცა მოვიდნენ წმინდა ნინოს საყოფელში, და დააწვინეს დედოფალი მის კილიკზე, დაიწყო წმინდა ნინომ ლოცვა. დიდხანს ევედრებოდა ღმერთს და აიღო ჯვარი, რომელიც მას ჰქონდა, გარდასახა ჯვარი თავთან, ფეხებთან და მხართან და მეყვსეულად განიკურნა დედოფალი და ადგა გაცოცხლებული, ირწმუნა ქრისტე და თქვა: "არ არის სხვა ღმერთი თვინიერ ქრისტესი, რომელსაც ქადაგებს ტყვე ეს დედაკაცი"... და გახდა დედოფალი მორწმუნე და სცნო ღმერთი ჭეშმარიტი.

და ჰკითხავდა დედოფალსა მეფე, თუ როგორ განიკურნა ის ასე მეყვსეულად და მოუთხრობდა დედოფალი ყველაფერს...

მაშინ გაუკვირდა მირიან მეფეს და დაიწყო გამოძიება ქრისტეს სჯულისა, და მრავალგზის ჰკითხავდა ჰურიაყოფილსა აბიათარსა ძველთა და ახალთა წიგნთა შესახებ და ის აუწყებდა ყველაფერს.

მოქცევა მირიან მეფისა სასწაულით

და იყო ესე ჟამსა ზაფხულისასა, ივლისის ოცსა, დღესა შაბათსა. გავიდა მეფე სანადიროდ მუხრანის სანახებში.

მეფემ შემოიარა ყოველი სანახები მუხრანისი და ავიდა თხოთის მთასა მაღალსა, რათა მოათვალიეროს კასპი და უფლისციხე. ავიდა თხემსა მთისასა. შუადღე იქნებოდა, როცა დაბნელდა მზე მთის თავზე და იქმნა ვითარცა ღამე ბნელი, უკუნი და დაიპყრო ბნელმა არენი და ადგილნი. და ყველანი იქ მყოფნი გაიფანტნენ და დაშორდნენ ერთმანეთს ჭირისა და ურვისაგან. და დარჩა მეფე მარტო და იარებოდა მთასა და მაღნარსა. შეშინებული და შეძრწუნებული დადგა ერთსა ადგილსა და გადაუწყდა იმედი გადარჩენისა, და როცა მოეგო ცნობასა, ესრეთ გადაწყვიტა გულში: "აი, ვუხმე ჩემთა ღმერთთა და ვერ ვეწიე ხსნასა, აწ, ხომ არ მიხსნის ამ განსაცდელისაგან ჯვარი და ჯვარცმული, რომელსაც ქადაგებს ნინო და ვისი ძალითაც ჰყოფს კურნებასა, რამეთუ მე ვარ ცოცხლად ჯოჯოხეთსა შინა და არა ვუწყი ყოვლისა ქვეყნისათვის მოიწია სახჯელი ესე, თუ მხოლოდ ჩემთვის იქმნა. აწ, თუ მხოლოდ ჩემთვის იქმნა ჭირი ესე, ღმერთო ნინოსო, განმინათლე ბნელი ესე და მიჩვენე საყოფელი ჩემი. და ვაღაირო სახელი შენი და აღვმართო ძელი ჯვარისა და თაყვანი ვცე მას, და აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილი ნინოსი ჰრომთა სჯულის საქმეში".

ესე ყოველი რა წარმოთქვა, გათენდა და გამობრწყინდა მზე. და ჩამოხტა მეფე ცხენიდან, დადგა მასვე ადგილსა, აღაპყრნო ხელნი აღმოსავლეთით ცად და თქვა: "შენ ხარ ყოველთა ღმერთთა ღმერთი და ყოველთა უფალთა უფალი, ღმერთი, რომელსაც ნინო ქადაგებს და ყოველთა დაბადებულთა ამ ცის ქვეშ მყოფთ, თუ ქვეყანაზე მოარულთ, ჰმართებთ ქება სახელისა შენისა. შენ მიხსენი მე ჭირისაგან და განმინათლე ბნელი ჩემი. და, აი, მეც მივხვდი, რომ გინდა ხსნა ჩემი, ლხინება და ხლება წინაშე შენდა, უფალო კურთხეულო. ამ ადგილას ავღმართავ ჯვარსა, რომლითაც იდიდებოდეს სახელი შენი და იხსენებოდეს საქმე ესე სასწაული უკუნისამდე". დაისწავლა ადგილი იგი და წამოემართა. იხილეს ნათელი და შეგროვდა ერი მისი

მიმოფანტული. ხოლო მეფე ღაღადებდა: “ადიდეთ ღმერთი ნინოსი, რამეთუ იგი არის ღმერთი უკუნისითგან და მხოლოდ მას შვენის დიდება უკუნისამდე”.

მოვსეს ხორენაცი (სომეხი ისტორიკოსი, V საუკუნე, სომხეთის ისტორია)

ერთი ქალი, სახელად ნუნე, {დევნილ} და გაფანტულ წმიდა რიფსიმიანთა ამხანაგთაგანი, ილტვოდა და მიაღწია ქართველთა ქვეყანას, მათ დედაქალაქს, მცხეთას. დიდი გულმოდგინების წყალობით მან შეითვისა მკურნალობის ხელოვნება და მრავალი სნეული მოარჩინა, სავსებით {განკურნა} ქართველთა წინამძღოლის, მირიანის ცოლიც. მაშინ ჰკითხა მირიანმა, თუ რა ძალის მეოხებით ჩადის ამგვარ საოცრებებს, {ნუნემ კი} ამაზე ქრისტეს სახარების ქადაგებით უპასუხა: მირიანი გატაცებით უსმენდა მას, მერმე {ამის შესახებ} მოუყვა თავის ნახარარებსაც (დიდებულები) და ქებაც არ დაუშურებია.

იმავე ხანებში სანადიროდ წასულ მირიანს ძნელსავალ მთებში გზა დაებნა: მას თვალთ კი არ დაუბნელდა, არამედ ნისლი ჩამოწვა. როგორც ნათქვამია, “სიტყვით მოუხმო ნისლს”, ანდა “დღე დააბნელა და ღამედ აქცია”. ამნაირად, მირიანი მოექცა სიბნელეში, რაც გახდა მიზეზი მისთვის სამუდამო სინათლის მინიჭებისა, რამეთუ შეშინებულს მოაგონდა თრდატის (მირიანის თანამედროვე სომეხთა მეფე) შესახებ მოსმენილი ამბავი: როდესაც იმან მოიწადინა ნადირობა და გზას გაუდგა, ღვთის რისხვა დაატყდა თავს. მირიანმა იფიქრა, რომ მასაც მსგავსი რამ შეემთხვა და თავზარდაცემული მოჰყვა ლოცვა-ვედრებას, რათა ნისლი გაფანტულიყო და შინ მშვიდობით მისულიყო. სამაგიეროდ, იგი პირობას დებდა, რომ თაყვანს სცემდა ნუნეს ღმერთს; აუსრლდა მას სურვილი და თვითონაც არ გატეხა სიტყვა.

თეოდორიტე კვირელი (ბიზანტიელი ავტორი, V საუკუნე)

იბერთა მიერ კეთილმორწმუნეობის მიღების შესახებ

ამრიგად, **ფრუმენტიოსი** (IV საუკუნის ფინიკიელი განმანათლებელი) გახდა ინდოელებისათვის წინამძღოლი ღვთის შეცნობისათვის. ამავე დროს ერთმა ტყვე ქალმა მიიყვანა იბერიელები ჭეშმარიტებასთან. ის თვითონ თავის დროს გამუდმებულ ლოცვაში ატარებდა; საწოლად და რბილ ლოგინად მას ჰქონდა ტომარა, იატაკზე გაგებული; ხოლო უმწვერვალეს ფუფუნებად მარხვას თვლიდა. ამ დამაშვრალობამ მოაპოვებინა მას ნიჭი მოციქულისა.

რადგან ბარბაროსები სამკურნალო მეცნიერების ცოდნას მოკლებულები იყვნენ, ავად რომ გახდებოდნენ, ჩვეულებრივ ერთმანეთში დადიოდნენ, რომ უკვე იმ ავადმყოფობა-მოხდილთაგან და გამომრთელებულთაგან ესწავლათ, თუ როგორ გამოჯანმრთელებულიყვნენ.

{დედოფალმა ნანამ} მაშინვე დაიბარა ტყვე-ქალი (ნინო), ვინაიდან თვითონაც მძიმე სატკივარით იყო შეპყრობილი. ხოლო {ტყვე-ქალმა}, ზომიერი თავმდაბლობით ხელმძღვანებულმა, დედოფლის მოწვევა არ მიიღო. ხოლო დედოფალმა საჭიროებით იძულებულმა ყური არ ათხოვა თავის მეფურ ღირსებას და თვითონ გაეშურა ტყვე ქალისაკენ.

{ტყვე-ქალმა}, როგორც მაშინ, თავის ღარიბულ სარეცელზე მიაწვინა იგი და იხმარა სატკივარის წინააღმდეგ მხსნელი წამალი – ლოცვა. დედოფალმა მოუტანა მას მორჩენისათვის ისეთი გასამრჯელო, რასაც ის მიცემის ღირსად თვლიდა: ოქრო და ვერცხლი, ქიტონები და წამოსასხამები და რაც კი არსებობს საჩუქარი, მეფური ღირსების შესაფერი. ხოლო ღვთაებრივმა დედაკაცმა უთხრა: ესენი მე არ მჭირდება, უდიდეს გასამრჯელოდ ჩავთვლიდი კეთილმორწმუნოების აღიარებასო. ამას მან დაურთო, რამდენადაც შეეძლო ღვთაებრივი დარიგებანი და ურჩია {დედოფალს} საღმრთო ტაძარი აუგე {შენს} მხსნელ ქრისტესო.

ეს რომ გაიგონა {დედოფალმა], დაბრუნდა სასახლეში მაშინვე და გააკვირვა თავისი მეუღლე {ასეთი} სწრაფი განკურნებით. მაშინ მან აუხსნა ტყვე-ქალის ღმერთის ძალა და სთხოვა: მხოლოდ ის იცან ღმერთად, აუგე მას ტაძარი და მთელი ერიც მის მსახურებაში მოაქციეო. მეფემ ქება შეასხა მისი მეუღლის მიმართ მომხდარ საკვირველებას, მაგრამ ტაძრის აშენება კი არ ინდომა.

ცოტა ხნის შემდეგ მეფე გავიდა სანადიროდ, ხოლო კაცთმოყვარე უფალმა ინადირა მასზე მსგავსად პავლესი. უცბად ჩამოწვა ბურუსი, რომელიც საშუალებას არ აძლევდა მას ნაბიჯი წაედგა. სხვა მონადირენი სარგებლობდნენ მზის შუქით ჩვეულებისამებრ. ერთი მეფე იყო მხოლოდ შებორკილი უხედველობის ბორკილებით. ამ გაჭირვებაში რომ იყო, იპოვა გამოსავალი. მაშინვე გაახსენდა მას თავისი ურჩობა და ტყვე-ქალის ღმერთს უხმო საშველად {და კიდევაც} იხსნა თავი ბურუსისაგან, მივიდა იმ ღირს-საკვირველ ტყვე-ქალთან და სთხოვა: მიჩვენე იმ შენობის სახეო. ვინც **ბესელეილი** (ბიბლიური თქმულების მიხედვით, უდაბნოში ხეტიალისას მოსემ ბესელეილი “ღვთის კარვის” აღმშენებელ ოსტატთა ზემდეგად დანიშნა).